საქმე #დს-შ/4-14 **8 სექტემბერი, 2014 წელი**
ქ. თბილისი
მიღების ადგილი

საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა
შემადგენლობა:

თავმჯდომარე: მაია ვაჩაძე
მოსამართლეები: **ვასილ როინიშვილი,**
ნუგზარ სხირტლაძე (მომხსენებელი მოსამართლე)

საჩივრის ავტორი - ადვოკატი ნ. ა.

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 15 მაისის №157/13 გადაწყვეტილება

სადისციპლინო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ადვოკატ ნ. ა-ს საჩივრის დასაშვებობის საკითხი სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 15 მაისის №157/13 გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ.

სადისციპლინო პალატამ საქმის მასალების გაცნობის შედეგად
გამოარკვია:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 16.12.13წ. საჩივრით მიმართა მოქალაქე ლ. ს-მა და ადვოკატ ნ. ა-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა. საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსარჩელე ლ. ლ-ს წარმომადგენელმა - ადვოკატმა ნ. ა-მ თბილისის საქალაქო სასამართლოში მის წინააღმდეგ შეიტანა

სარჩელი, სადაც სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად თანხის დაბრუნება. მოსამზადებელ სხდომაზე მოსამართლემ, რომელიც აშკარად მიკერძოებული იყო, რამდენიმეჯერ ურჩია ადვოკატ ნ. ა-ს, გაეხმო სარჩელი, გარკვეულიყო ვითარებაში და შემდგომ მიემართა სასამართლოსათვის. მოსამართლემ ჩანიშნა მეორე მოსამზადებელი სხდომა, რისი საჭიროებაც, საჩივრის ავტორის აზრით, არ არსებობდა. ამავე სხდომაზე ნ. ა-მ წარადგინა განცხადება სარჩელის გამოხმობის თაობაზე, რის შემდეგაც საჩივრის ავტორმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა აღნიშნული განცხადების ასლის გადაცემა. განცხადების გაცნობის შემდეგ აღმოჩნდა, რომ იგი დაწერილი იყო მოსარჩელე ლ. ლ-ის სახელით და ხელს აწერდა მისი წარმომადგენელი ნ. ა. ლ. ს-ს ვარაუდით, აღნიშნული ქმედებით ადვოკატმა ჩაიდინა დანაშაულებრივი ქმედება, რის გამოც მოცემული შემთხვევა უნდა შეფასდეს, როგორც ადვოკატის მიერ კანონით აკრძალული საშუალების გამოყენება.

ადვოკატმა ნ. ა-მ ეთიკის კომისიაში წარადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც აღნიშნა, რომ ლ. ს-ს საჩივარი არ შეიცავდა იმ გარემოებებს, რომლებიც შესაძლოა შეფასებულიყო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევად. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის პრეტენზია, მოსარჩელის ნაცვლად მის მიერ განცხადებაზე ხელმოწერასთან დაკავშირებით, სრულიად უადგილო იყო, რადგან ხელმოწერის ნამდვილობა მხოლოდ ლ. ლ-ს შეიძლება გაეხადა სადავოდ, რასთან დაკავშირებითაც მის კლიენტს პრეტენზია არ გააჩნდა. ადვოკატის განმარტებით, მას გაფორმებული ჰქონდა მინდობილობა ლ. ლ-თან და ნებისმიერ საპროცესო მოქმედებას ახორციელებდა მასთან წინასწარი შეთანხმებით. სარჩელის გამოხმობაც სწორედ მისი კლიენტის თანხმობით მოხდა.

ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნია, რომ ადვოკატის მხრიდან ადგილი ჰქონდა „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას, რომლის თანახმად, „ადვოკატს უფლება აქვს, კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით“. გადაწყვეტილების მიღებისას ეთიკის კომისიამ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ადვოკატი კლიენტისგან აღჭურვილი იყო სათანადო უფლებამოსილებით, ასევე თავად კლიენტი იყო ინფორმირებული ასეთი გადაწყვეტილების მიღებისა და მისი შედეგების შესახებ, რითაც ხელყოფილი არ იქნა კლიენტის ინტერესები, თუმცა ეთიკის კომისიის დასკვნით, ადვოკატს არ ჰქონდა უფლება, ემოქმედა ეთიკური ვალდებულებების საწინააღმდეგოდ. ამდენად, ადვოკატ ნ. ა-ს დისციპლინური ზემოქმედების ზემოქმედების ღონისძიების სახით განესაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის 2014 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება ადვოკატმა ნ. ა-მ უზენაესი სასამართლოს

სადისციპლინო პალატაში გაასაჩივრა და მიუთითა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება, როგორც უკანონო და დაუსაბუთებელი, უნდა გაუქმდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა ადვოკატ ნ. ა-ს საჩივრის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი არ არის დასაშვები შემდეგ გარემოებათა გამო:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლში მოცემულია ადვოკატის დისციპლინური სახდელის სახეების ჩამონათვალი და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებები. ადვოკატის დისციპლინური სახდელის სახეებია: ა) გაფრთხილება; ბ) სააადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 თვიდან 3 წლამდე ვადით; გ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა. ადვოკატზე დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებია: ა) კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა; ბ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის, სარევიზიო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა. ამასთან, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 38-ე მუხლი განმარტავს, რომ დისციპლინური ღონისძიების სახით კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის შემთხვევაში კერძო სარეკომენდაციო ბარათი უნდა შეიცავდეს რჩევებს და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოსაფხვრელად. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია“

ამავე დებულების მე-40 მუხლი ადგენს ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს. მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „განხილვის კოლეგიის ან ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებები ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე შეიძლება გასაჩივრდეს ამ ადვოკატის მიერ მისთვის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში“. აღნიშნული ნორმის თანახმად, საჩივრდება ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის (სახდელის) დაკისრების თაობაზე და არა გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის შესახებ, რომელიც მხოლოდ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს და არა პასუხისმგებლობის ან სახდელის სახეს. კერძო სარეკომენდაციო ბარათი თავისი შინაარსით შეიცავს რა მხოლოდ რჩევებს და რეკომენდაციებს, არ უზღუდავს ადვოკატს საადვოკატო უფლებამოსილების განხორციელებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონის 61-ე, 62-ე და 68-ე მუხლებით (კანონის ანალოგია) და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ადვოკატ ნ. ა-ს საჩივარი სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის 2014 წლის 15 მაისის N157/14 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის მოტივით.
2. განჩინება საბოლოოა არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე /მაია ვაჩაძე/

მოსამართლეები: /ვასილ როინიშვილი/

/ნუგზარ სხირტლაძე/